ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი **17.08.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი; სხდომის მდივანი.
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
მარინე კობახიძე - გენერალური დირექტორი;
ნინო ჯოგლიძე - წარმომადგენელი.

შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ნათელა მურადაშვილი - დამფუძნებელი;
ლია კბილაშვილი - დირექტორი.

შპს ოაზისის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ნაირა დოლიძე;
ნანა დოლიძე.

შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მაია თეთრუაშვილი.
სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ქეთევან ედიბერიძე - სკოლის დირექტორი.

შპს ლაზარეს წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ჯულიეტა ლაზარიაშვილი-დირექტორი.

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ირინე ცაავა - დირექტორი;
სოფია იმედაძე - სასწავლო ნაწილის გამგე;
მზია დახუნდარიძე - ბუღალტერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ქეთევან ბოტკოველი;
მარინა სეხნიაშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
პეტრე ბაბილუა;
ნელი ნასყიდაშვილი;
თამარ ჩალახეშაშვილი;
დავით ჭეიშვილი;
შორენა ჯაფარიძე;
თამარ ვერულაშვილი;
ნოდარ ანგურიძე
თამარ კუპრაშვილი;
მაკა ნადარეიშვილი;
დავით ჩივაძე;
ინგა კახიანი.

სხვა დამსწრე პირები:
მაია დანელია - ავტორიზაციის ექსპერტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:48 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის მდივნად არჩეულ იქნა გიორგი გიგიბერია.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს ოაზისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს ლაზარეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7.შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა წარადგინა. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის შედეგად, არსებითი გადაცდომები არ გამოვლენილა. ერთადერთ პრობლემად ექსპერტთა ჯგუფმა პედაგოგებთან დადებული ხელშეკრულებების საკითხი მიიჩნია, რომლებიც პირველ სექტემბრამდე იყო გაფორმებული. თუმცა, ექსპერტის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი ფორმა, რომელიც სექტემბრიდან ხელახლა გაფორმდებოდა და რის შესახებაც პედაგოგებისგან ზეპირი თანხმობა უკვე არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარე სკოლაში მოსწავლეთა მიღების წესითა და პროცედურული საკითხებით დაინტერესდა. დაწესებულების განცხადებით, პირველკლასელთა ჩარიცხვისას, სკოლა სასკოლო მზაობის დიაგნოსტირების მეთოდს მიმართავდა. პროცესში ჩართულები იყვნენ ფსიქოლოგებიც. დიაგნოსტირება ოთხი მიმართულებით ხორციელდებოდა. დიაგნოსტირების პროცესშივე, დგებოდა მოსწავლის მშობლებთან ინტერვიუებიც, დეტალურად ხდებოდა ბავშვის საჭიროებების კვლევა და შესაბამისად, მიდგომაც ინდივიდუალური იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლაში კლასიდან კლასში გადასვლის ერთ-ერთ წინაპირობას ინგლისურ ენასა და მათემატიკაში მოსწავლის მაღალი მოსწრების მაჩვენებელი წარმოადგენდა, ახალი მოსწავლის მიღებისას სკოლა აღნიშნულ საგნებში მოსწავლის ცოდნის დონეს ადგენდა და საჭიროების შემთხვევაში, მშობელთან შეთანხმებით, ადგენდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ინტენსიური სწავლების მეთოდს მიმართავდა. დამატებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში ორი საკლასო ოთახი იყო, რომელთაც მეორე, გამიჯნული მცირე ოთახი მოყვებოდა, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა დატვირთვა, დღის განმავლობაში, მოსწავლის საჭიროებებს იყო მორგებული და ისე იყო საგნები განაწილებული, რომ ყველა გაკვეთილი დღის პირველ ნახევარში არ სრულდებოდა და მეორე ნახევარი მხოლოდ მეცადინეობას არ დაეთმობოდა - გაკვეთილები და სხვადასხვა აქტივობები ჰარმონიულად იყო შერწყმული და გადანაწილებული.

საბჭოს წევრი, ნინო კოდუა შემაჯამებელი სამუშაოების საკითხით დაინტერესდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ინდივიდუალურ მიდგომას მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა, რის თაობაზეც დაწესებულებას კონკრეტული რეკომენდაციები მიეცა.

საბჭოს თავმჯდომარე, სკოლის სახელწოდებიდან გამომდინარე, სკოლაში ტექნოლოგიების საკითხით დაინტერესდა. პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელწოდებაში ტექნოლოგიებში სწავლების მეთოდები (პროექტები და პრეზენტაციები) იყო ნაგულისხმევი და არა ტექნოლოგიებით გამორჩეულად აღჭურვილი მატერიალური ბაზა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ბინულისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 360-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა ბინულს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202166324) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360-ით.

2. შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ ფართი სამჯერ შეიცვალა. მიმდინარე სასწავლო წელს, დაწესებულებაში 40-მდე მოსწავლე იღებდა განათლებას. ექსპერტის თქმით, საყურადღებო იყო, რომ დაწესებულების მიერ შემაჯამებელი დავალებები მხოლოდ ტესტური სახით იყო წარმოდგენილი; ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით, 2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს განსაზღვრული იყო კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები (მე-7 მე-9 კლასები) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურში, ისტორიასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან; სკოლაში, დაწყებით კლასებში მოქმედებდა განმსაზღვრელი შეფასება.

ექსპერტის თქმით, სკოლა საგანმანათლებლო მიზნებისთვის არ სარგებლობდა შენობის მე-4 სართულით, სადაც მხოლოდ სასწავლო მერხები ჰქონდა დასაწყობებული.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლა სექტემბრიდან ტრენერების მოწვევას და პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარებას გეგმავდა. მისივე თქმით, სკოლა დაწყებით კლასებში განმსაზღვრელ შეფასებას მხოლოდ მოსწავლეთა მოსწრების ანალიზის მიზნით იყენებდა. ბოლოს დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს იზიარებდა და უახლოეს დროში ყველა შენიშვნის გათვალისწინება მოხდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე სკოლის მიერ რამდენიმეჯერ ფართის ცვლილების მიზეზით დაინტერესდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი ცვლილება მეპატრონის მიერ ფართის გაყიდვის, ხოლო მეორე - დაწესებულების შენობაში სხვადასხვა კერძო ფირმის შემოსვლის გამო განხორციელდა.

საბჭოს წევრები სკოლაში სწავლის საფასურით დაინტერესდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ სწავლის საფასური 1800 ლარს შეადგენდა, რაშიც კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯებიც იყო გათვალისწინებული. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება კვებას საკუთარი მეურნეობიდან უზრუნველყოფდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ ფართთან დაკავშირებული პრობლემის გამო, სანამ სკოლას ხელი არ მიუწვდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერზე, ვერ უზრუნველყო საჯაროდ სკოლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და სასურველი რაოდენობით კონტინგენტის მიღება. სკოლას უკვე ყველა პრობლემა მოგვარებული ჰქონდა და მიმდინარე წელს, მოსწავლეების მიღებას აპირებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ ფართის ხშირ ცვლილებას შესაძლოა მოსწავლეებისთვის, სტაბილურობის კუთხით, პრობლემები შეექმნა და ფაქტი, თავისთავად, არ იყო სახარბიელო. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამჟამად, სკოლას ფართთან დაკავშირებით ხელშეკრულება 12 წლით (2028 წლამდე) ჰქონდა გაფორმებული და სამომავლოდ მსგავს პრობლემებს აღარ ელოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ცოდნა - ნათელა მურადაშვილს (საიდენტიფიკაციო კოდი: 209440121) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

3. შპს ოაზისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას გამათბობლების უსაფრთხოების გადამოწმება ეთხოვა. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ გამათბობლები პასუხისმგებელმა ტექნიკოსმა გადაამოწმა. წარმომადგენლის თქმით, გამათბობლების უსაფრთხოების გადამოწმება სისტემატურად ხდებოდა. ასევე, სამომავლოდ, სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა იგეგმებოდა.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ საპირფარეშოებში წყლის ავზებს ხშირად მოსწავლეები აფუჭებდნენ, თუმცა სველი წერტილები სხვა მხრივ, მოწესრიგებული იყო. ასევე, ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა კვების ობიექტიც, სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა და სააგენტომ მოამზადა დასკვნა. დაწესებულებამ, კვების ობიექტზე, მოთხოვნისამებრ, მწყობრში მოიყვანა მაცივრები.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლას ლაბორატორიაში ჰქონდა დამონტაჟებული გამწოვი. ექსპერტის თქმით, იშვიათი იყო სკოლებში ნამდვილი გამწოვის არსებობა - დაწესებულებები ძირითადად ლაბორატორიაში სარკმლის არსებობით კმაყოფილდებოდნენ. სკოლის ლაბორატორიას გააჩნდა ფანჯარა, ხელსაბანი და ლაბორატორიული ინვენტარისთვის შესაბამისი სათავსოები.

ბოლოს, საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება ამჯერად საკლასო ოთახებში 256 მოსწავლეზე მეტის განთავსებას ვერ მოახერხებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა და ითვალისწინებდა ექსპერტთა რეკომენდაციას განმავითარებელი შეფასების დახვეწასთან დაკავშირებით.

16:06 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭო განახლდა 16:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოაზისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 256-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ოაზისს (საიდენტიფიკაციო კოდი:209475735) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 256-ით.

4. შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარებსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილზე, საბჭოს წინაშე ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა წარადგინა. ვინაიდან ავტორიზაციის განაცხადში დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სურვილსაც გამოთქვამდა, პროფესიული პროგრამის შესახებ დასკვნას ავტორიზაციის ექსპერტი, შორენა ჯაფარიძე წარადგენდა. საბჭოს სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა ავტორიზაციის ექსპერტი მაია დანელია.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლამ 2015 წელს შეიცვალა სახელწოდება, რის გამოც წინა წლების დოკუმენტებში სკოლის ძველი სახელწოდება იყო მითითებული. ექსპერტი თქმით, სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზები ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლას სასწავლო გეგმით არ ჰქონია განსაზღვრული სპორტის სახეობები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას გააჩნდა ფრენბურთის, ბადმინტონის და კალათბურთის, ასევე ჭადრაკის, ჩოგბურთისა და სპორტული აერობიკის ინვენტარი. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მარტივ დაუდევრობას ჰქონდა ადგილი და სასწავლო გეგმაში უბრალოდ გამორჩენილი იყო სპორტის სახეობები. დაწესებულებაში სპორტის ერთი პედაგოგი იყო დასაქმებული. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა დადებული „გორის დილასთან" სპორტული მოედნით სარგებლობის თაობაზე, თუმცა, სპორტის გაკვეთილები, კლიმატის გამო, ძირითადად დახურულ სივრცეში მიმდინარეობდა.

ექსპერტის თქმით, სკოლს დიდი ეზო გააჩნდა, თუმცა იგი სპორტული მიზნებისთვის არ ყოფილა გამიზნული და გამოყენებული. სკოლას გააჩნდა პატარა სპორტული მოედანი და მცირე სარეკრეაციო ზონა. სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრული იყო ღობით.

საბჭოზე განხილვა შეეხო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პედაგოგსაც, რომელიც სკოლას არ ჰყავდა და როგორც აღინიშნა, სკოლა არ იყო მზად სსსმ მოსწავლის მისაღებად.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლის შესასვლელში ორის ნაცვლად ერთი სამეთვალყურეო კამერა იყო დამონტაჟებული, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეორე კამერა უკვე შეძენილი იყო და უახლოეს დროში დამონტაჟდებოდა. კამერის დამონტაჟებასა და ჩართვასთან დაკავშირებით, საბჭომ დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა მოითხოვა.

პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებდა. პროფესიული საგანმანთლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო პროცესები დაწესებულებაში გამიჯნული იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამერიკელი პარტნიორი დაწესებულებასთან ამჯერად მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით თანამშრომლობდა.

საბჭოს წევრმა, მარინა უშვერიძემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიუთითა იმ საკითხებზე, რომელთა გამოსწორებაცა და დოკუმენტირებაც აუცილებელი იყო, კერძოდ: გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა შეცვლილიყო მასწავლებლის ასისტენტის სტატუსი, უნდა მოგვარებულიყო საკითხი უვადო ხელშეკრულებების თაობაზე, სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟების საკითხი, სპორტის სახეობები უნდა მითითებულიყო სასკოლო სასწავლო გეგმაში; პროფესიულ პროგრამაში მოწესრიგებულიყო კრედიტების განაწილებასა და მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები.

წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის საკითხი უკვე გამოსწორებული იყო და წარმოდგენილი იყო შესაბამისი ცნობა. ასევე, წარმოდგენილი იყო ჭადრაკის მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები და ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 322-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 42-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 217881326) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
შპს ამერიკის უნივერსიტეტის სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 322-ით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 42-ით, მათ შორის ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 22, ხოლო ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 20 პროფესიული სტუდენტით.

5. სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს წინაშე, ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ წარადგინა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში მესამე კლასიდან რუსული ენა ისწავლებოდა - ექსპერტის თქმით, კერძო სკოლა უფლებამოსილი იყო მასზე არ გავრცელებულიყო ეროვნული სასწავლო გეგმის მე-40 მუხლის მოთხოვნა სკოლის მიერ უცხო ენის დამატებასთან დაკავშირებით, ვინაიდან მუხლში მითითება საჯარო სკოლებზე კეთდებოდა. უცხო ენის დამატების შედეგად, საერთო საგაკვეთილო დატვირთვას მხოლოდ 2 საათი ემატებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სკოლის მოსწავლეების სხვადასხვა სამეცნიერო თუ სახელოვნებო კონკურსებსა და ოლიმპიადებზე წარმატების შესახებ ისაუბრა. ასევე, წარმომადგენელმა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიურ მონაწილეობისა და ჩართულობის შესახებ აღნიშნა. ბოლოს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, სკოლის პედაგოგები ერთმანეთს გაკვეთილებზე ხშირად ესწრებოდნენ, ასევე, პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა მასწავლებლებს შესაბამისი ტრენინგ-კურსებით უზრუნველყოფდა და ამ მიზნით გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ზურაბ ვახანიასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისს (საიდენტიფიკაციო კოდი: 230039115) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

6. შპს ლაზარეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს წინაშე, ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა. ექსპერტის თქმით, სასურველი იყო შემაჯამებელი დავალებების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები მეტად გააზრებული და ადეკვატური ყოფილიყო. ასევე, ვიზიტის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო სასწავლო გეგმით, 2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს განსაზღვრული იყო კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები (მე-7 კლასი - რუსული და მათემატიკა, მე-8 - ქიმია, გეოგრაფია, მათემატიკა, მე-9 კლასი - მათემატიკა, ინგლისური, ისტორია, მე-11 კლასი - ქართული, ინგლისური, ქიმია, CAT-ის ტესტირების შემდეგ), რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ორ მისამართზე ახორციელებდა, თუმცა ერთერთზე, დაწესებულებას საკუთრების უფლება არ უდასტურდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ ჯერ მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციის პროცესი უნდა დასრულებულიყო, ხოლო შემდგომ ფართის გაყიდვა აუქციონის სახით უნდა მომხდარიყო, სადაც დაწესებულება მიიღებდა მონაწილეობას. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა რეალურად იყენებდა აღნიშნულ ფართს სპორტის გაკვეთილებისთვის და სასურველი იქნებოდა თუკი დროულად მოხდებოდა მისი შესყიდვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლაზარესთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 235-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლაზარეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405162087) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 235-ით.

7. შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს წინაშე, ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა. ექსპერტის თქმით, პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, პროცესებში მათი მაღალი დონის ჩართულობა და ინტერესი გამოვლინდა, მოწესრიგებული იყო პორტფოლიოები, გავლილი ჰქონდათ სპეციალური ტრენინგი ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებით, ახორციელებდნენ სხვადასხვა ღონისძიებას, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოდგენილი იყო. ექსპერტის თქმით, გაკვეთილებზე, გარკვეული საგნების მიხედვით, კლასი ხშირად ორ ჯგუფად იყოფოდა, რაც ჯგუფური მუშაობის თვალსაზრისით შესაძლოა არახელსაყრელიც ყოფილიყო.

ექსპერტის თქმით, დაწყებით კლასებში სკოლა განმსაზღვრელ შეფასებას ახორციელებდა. შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწყვებით კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება, მხოლოდ შემაჯამებელ დავალებებში, წახალისების მიზნით ხდებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭომ გამოთქვა პოზიცია, რომ სისტემაში გატარებულიყო შესაბამისი ღონისძიებები და დაგეგმილიყო ტრენინგები სასკოლო შეფასებასთან დაკავშირებით, ვინაიდან პრობლემა ფართო ხასიათს ატარებდა. ექსპერტისა და საბჭოს წევრების თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე სამი ძირითადი უარყოფითი ტენდენცია არსებობდა: სპორტის სახეობათა იგნორირება, დაწყებით კლასებში განმსაზღვრელი შეფასება და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას საჭიროებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნებისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 271-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნებას (საიდენტიფიკაციო კოდი: 221290886) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 271-ით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:30 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი
გიორგი გიგიბერია